სამშაბათი, 22 იანვარი 1908 წ.

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—90 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

# ისარი

ТИФЛИССКАЯ ... БИБЛИОТЕКА ... ИМЕНИ ... ПРИ ЦК ВКП (б)

წელიწადი. მეორე—№ 17

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ფასდება 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ».

**ვასილ სპირიდონის ძე ძოწენიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფას და დაუვიწყარ მეუღლის

## ალექსანდრე მგელაძის ასულის ივლიტასას,

მომხდარს 19 იანვარს ქალაქს ტფილისში. გამოსვენება მიცვალებულისა თავის საკუთარ სახლიდან, ქ. ქუთაისში, ფერმის ქუჩაზე, იქნება ოთხშაბათს, 23 იანვარს, ნაშუადღევის სამ საათზე. (1—37—1)

**მარიამ მერაბის ასული ბურჯანაძისა** და შვილნი მისნი მღ. **სამსონ და იასონ ბურჯანაძენი, ვასასი მარგველაშვილისა, თეო ზურაბოვისა, გულჩინა ხაზირაძისა, ნიფადორა კვიცარიძისა** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—მეუღლის, დანარჩენნი—მამის

## მღ. გაიოზ ბურჯანაძისას.

დაკრძალვა 24 იანვარს, სოფ. ნაგარევში. (2—3—1)

**ანნა, კატო, ნინა, კოტე, ნიკოლოზ, სოფიო, გიორგი და თედო** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს უდროოდ ტრაგიკულად გარდაცვალებას პირველის—ძვირფასი შვილისა, მეორეების—დაუვიწყარ ძმისა, მესამის—ძმის-წულისა და უკანასკნელების—ცოლის ძმისა

## ივანე ალექსანდრეს ძის გვარამაძისას,

და სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდებზედ ყოველ დღე, მიხეილის საავადმყოფოში 5—6 საათ.-მდე.

ცხედარს გამოასვენებენ ხუთშაბათს, 25 იანვარს, დილის 10 საათზედ წმ. ნინოს ეკკლესიაში. (1—1)

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა**

სამშაბათს, 22 იანვარს, **დაკლებულის ფასებით** წარმოდგენილი იქნება:

„მ ა ზ ე პ ა“

ოპერა 4 მოქმედ. ჩაიკოვსკისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი ოკუნევა, კორსაკოვა-ლიუბინსკაია; ბ-ნნი გავრილოვი, გრონევი, სააიანოვი, პავლოვსკი, ენგელ-კრონი.

დასაწყისი 8 საათზე. კაპელმეისტერი: **გოლინკინი.**

23 იანვ. კაპელდინერებისა და შვეიცარების სასარგებლოდ—«იოლანტა», „სოფლის პატიოსნება» და ბალეტი; მაღე ბენეფისი კაპელა გოლინკინისა. (0—38)

## ძმ. ნიკიტინებ..ს ცირკი.



სამშაბათს, 22 იანვარს, 1908 წელს, **დიდი საგანგებო წარმოდგენა** სამ მოქმედებად. გასტროლი ერთად-ერთ არტისტის დედამიწაზე წყალ-ქვეშ მცურავ ქ-ნ ვანდერ-ვალდისა. ცხელ აუზში ჩახტება დიდ სიმაღლიდან. ვან-დერ ვალდი მესამე მოქმედებაში გამოვა. მონაწილეობას იღებენ აგრეთვე კლოუნები, გიმნასტები და სხვანი. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე. აწვრილებით პროგრამებში.

(1—39—1) დირექტორი **აკიმ ნიკიტინი.**

# შეშის საწყობი

## გ. ტ. კუტალაძისა

ამით აცხადებს, რომ საქმის შეწყვეტის მიზეზით იყიდება ძალიან იაფად ყველა ნაირი შეშა. საწყობი ღიაა დილიდან საღამომდე. ამასთანავე იჯარით იცემა ესავე ადგილი, ზომით 600 საჟენამდე; გამოსადეგია როგორადაც ხე-ტყის საწყობად, ისე ყველა ამ ნაირ საქონლისათვის. იჯარის შესახებ პირობების გაგება შეიძლება ყოველ-დღე, დილის 9—12 საათამდე. ადრესი დიდი მთავრის ქუჩა, № 81. ვაქთა მეორე გიმნაზიის პირდაპირ. (3—38—1)

# სამშობიარო სახლის

ბებია-ქალის რ. ზ. კრინსკისა. ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 47, ტელეფ. № 646. მიიღებიან მშობიარენი და ფეხმძიმენი ყოველ ჟამს დღეცა და ღამეც. კარგი მოვლა და მუდმივი საექიმო დახმარება. არის ოთახი საიდუმლოთათვის. პირობები: საზოგადო პალატაში დღე-ღამეში 2 მ., მშობიარობა 6 მ. ცალკე ნომერი და გინეკოლოგიური ავადმყოფნი შეთანხმებით. მიღება ავადმყოფთა ქალის ავადმყოფობით და ძიძების გასინჯვა ყოველ დღე ნაშუადღევის $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. (10—11—6)

კბილის ექიმი

**ალ. ხოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (6ч)

ე ქ ი მ ი

**ი. მ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, საშარდოსა და კანით ავადმყოფებს.** 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, ისელიანის სახლში. (25—ფ.—12)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს, საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 2 (0—277)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—554—13)

კბილის ექიმი

**ბალარჯაშვილი მათეშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საღ. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—518—25)

ე ქ ი მ ი

**მ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ქუთაისში**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი

**ე. დ. ნ ა ხ ა რ ი ძ ე**

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (846)

აუარებელ საქონლის ფასები დაკლებულია 20%-დან 60%-მდე. ✦ **იაროსლავის მაღაზია** ✦ აუარებელ საქონლის ფასები დაკლებულია 20%-დან 60% მდე.

(გოლოვინის პროსპ., სახაზინო თეატრის მახლობლად, „ბოიარსკი“ სასტუმროს პირდაპირ, სახლი სტეფანოვისა).

დანიშნულია განსაკუთრებული **იაფობა**; ამასთან ფირმის ყველა განყოფილებიდან თავმოყრილია სეზონის აუარებელი დარჩენილი საქონელი, რომელიც საოცრად იაფად გაიყიდება.

10 თებერვლამდე

დღემდე უნახავი **ი ა ფ ო ბ ა** დღემდე უნახავი

ყველა საქონლის ნამდვილ ფასს დააკლდება მანეთიდან 20%—60%. გასასყიდად მილებულია აუარებელი შალეულობა, ფარადი ბამბაზია, სარატოვის სარპინკა, ტილო, სუფრა-სალფეტკი, ფერადი სუფრის საფარი. საბნები საზამთრო და საზაფხულო, დამზადებული საცვალი ქალისა და ვაჟისა. ჩულქები. შალები და ნაქსოვი ხელსახოცები. ტულის ფერდები.

**იაფობა მოხდება შემდეგ დღეებში**

19, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 30 და 31 იანვარს და 1, 2, 4, 5, 6, 7, 8 და 9 თებერვალს.

აუარებელ საქონლის ფასები დაკლებულია 10%-დან 60%-მდე. ‖ იაფობის შემდეგ იაროსლავის მაღაზია დროებით დაიკეტება. ‖ აუარებელ საქონლის ფასები დაკლებულია 20%-დან 60%-მდე.

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

**დაბრუნდა** და იღებს ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათ. (კვირას გარდა). სლეპცოვსკაია № 5 (ანსტას. ქუჩ. კუთხე). (წ.)

ე ქ ი მ ი

**გ. ნ. მ ა მ ა კ ი ა ნ ი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვების.** სპეციალური ექიმია **კუჭის და ნაწლავების**, მიღება: დილით 12—1 საათ., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ქავთარაძისა. (25—წლ.)

კბილის ექიმი

**იოსებ ზაქარიას-ძე კანდელაკი**

იღებს კბილის სნეულ ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს და ღრძილებს; უღებს უვარგის კბილებს აუტკივებლად, აშორებს პირიდან ცუდ სუნს, უკეთებს პლომბებს ყოველგვარ მასალისაგან და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველგვარ მეტალზე; კაუჩუკზე, პლატინაზე და ოქროზე, აგრეთვე სხამს კბილებს შტიფტებზე უპლასტინკოთ და კბილებს პროფესორ ლოგანის მეტოდზე, ვორონცოვის ძეგლის ახლოს, რაზიექი ქუჩა № 11 იღებს 9—2 და 4—7. (25—6.—8)

ე ქ ი მ ი

**ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეთი**

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—33)

## სამკურნალო

### ექიმთა საზოგადოებისა

**მუდმივ საწოლებით. ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.**

ადრესი: ელისაბედის ქ., № 79, ტელეფ. 1026.

**მიხ. ალიხანოვი:** 11—12 ს. შარდ., კან., და სიფილ.

**ნ. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს ნერვ. ავად., ელექტ. წამლობა.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 11—1 ს, შინაგანი.

**მ. პ. გამონი:** 1—2 ს. ქირურგიული.

**მ. რ. ელჩიევი:** 1—2 ს. ყელისა, ყურ. და ცხვირისა.

**პ. ა. ზეიერი:** 2—3 ს. ბავშვისა და შინაგ., ყოველ დღე, სამშაბათსა და პარასკ. გარდა.

**ი. ნ. თუმანოვი:** საღამ. 5—6 ს. ქალისა და ბებიაობა.

მკურნალობა ჰიპნოზით; მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. რჩევა დარიგება 50 კ. ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. არის საზოგადო პალატები და ცალკე ოთახები. (100—551—7)

ტფილისის ქართულ

## გიმნაზიის

გამგე უმორჩილესად სთხოვს მოწაფეთა მშობლებს ან მათ მოადგილეთ, მობრძანდნენ გიმნაზიაში მოწაფეების სწავლისა და ყოფა-ქცევის შესახებ მოსალაპარაკებლად.

გამგის ნახვა შეიძლება სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 11-დან 1 საათამდე. (6—5—2)

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

**რიდელი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^1/_2$—3 საათ.

**აანზევზკი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

**პავლოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ასპაზოვი**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. პარასკ. გარდა.

**ოოზელაანიზა**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

**ზოგოვზკი**—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.

**გორადეცკი**—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ანბეგი**—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.

**ჩუდნოვზკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

**ნევშთროვი**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

**პავარზკი**—, **ჩუდნოვზკი**— | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—89)

## „ილიას დღე ჭიათურაში“

ამ წიგნში მოთავსებულია: ილია ჭავჭავაძის სურათი, ბიოგრაფია, „ვინ არის ილია გლეხთათვის?“ რჩეული ლექსები და პოემა და „გლახის ნაამბობიდან“ დრამა 3 მოქმედებად.

## „ბატონი და ყმა“

გამოცემა ჭიათურის ქართ. დრამატ. საზოგადოებისა. ღირს აბაზად.

იყიდება: „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში“ და ჭიათურაში ს. ტარუაშვილთან. იქავე იყიდება: „მამა შვილი ანუ გაუბედურებულნი“, დრამა 3 მოქმ., თანამედროვე ცხოვრებიდანა და „დროების კალენდარი“.

აქვე მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „ისარ“-ზე. (10—4)

მიიღება ხელის მოწერა ყოველთვიურ ახალ სამეცნიერო პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

## „განათლება“-ზე

წლიურ ხელის მომწერთათვის ჟურნალი ეღირება 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., სამი თვით 1 მ. 60 კ.; საზღვარგარედ 7 მან. ცალკე № 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და „იდეალის სტამბაში (კიკნაძესთან), ნიკოლოზის ქუჩა № 6. ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთში“ ის. კვიცარიძესთან.

ადრესი: ტფილისის ქართული გიმნაზია ან „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

რედაქტორი გამომცემელი **დ. გ. ზოდელავა.** (5—1)

## ტფილისი, 22 იანვარი.

თავიდანვე ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ ხელმეორეთ გვიხდება, კბილი გავუშინჯოთ გაზეთ „ცისკრის“ შეხედულებას კულტურულ მუშაობის და პოლიტიკურ მოღვაწეობის ურთიერთობაზე. ჩვენის ფიქრით, დიდი უმრავლესობა ჩვენის მკითხველებისა სრულიად ეთანხმება ჩვენს გაზეთში გამოთქმულს აზრს, რომ კულტურულ მუშაობის დაქვემდებარება პოლიტიკისთვის ისე, როგორც ექვემდებარება საშუალება მიზანს, ყოვლად შეუწყნარებელია. ამ უმრავლესობას ეს წერილი შეუძლიან სულაც არ წაიკითხოს: აქ ჩვენ ახალს არაფერს ვიტყვით. მაგრამ რადგან სადავო საგანი მეტად დიდმნიშვნელოვანია, რადგან კულტურულ მუშაობას საზოგადოებრივ საკითხებში დღეს მეტად თვალსაჩინო ადგილი უკავია, ამიტომ საჭიროდ ვცნობთ ჩვენი მოპირდაპირის, გაზეთ „ცისკრის“, არც ერთი შენიშვნა არ დავტოვოთ უპასუხოთ და აუწონ-დაუწონავად. ჩვენი მიზანია დავარწმუნოთ ყველა ჩვენი მკითხველი და ისინიც კი, ვინც საერთოდ ზურგს უქცევენ ჩვენს გაზეთს, დავარწმუნოთ—რომ მართლა ყოველმხრივ შეუწყნარებელია კულტურული მუშაობის დაქვემდებარება პოლიტიკისთვის.

ჩვენს პირველ წერილში („ისარი № 12) ნათლად და გარკვევით აღვნიშნეთ, რომ „ცისკარის“ მარქსისტულმა მსოფლმხედველობამ არავითარი ნორმატიული ღირებულება არ იცის, რომ იგი თეორიულად არავითარ იდეალს არ შეიცავს, რომ იმისთვის იდეალი და ის, თუ „საითკენ მიდის ცხოვრება“ სრული იგივეობაა. ამ დახასიათების სამართლეს გაზეთი „ცისკარი“ არ უარ-ჰყოფს. მიზანი და საშუალება—გარეშე იდეალისა სრულიად ფუჭი ცნებებია. „ცისკარს“ რომ საკმაო პირდაპირობა და გაბედულება ჰქონდეს, იგი ხმა-მაღლა უნდა აცხადებდეს, არც ვიცნობ იდეალს და ამიტომ არც რაიმე მიზანი და საშუალება გამაჩნიაო. „ცისკრის“ მსოფლ-მხედველობით, არსებობს ქვეყნისა და ცხოვრების მოძრაობა, მდინარეობა, განვითარება და არა იდეალი, მიზანი და საშუალება. იდეალი და მიზანი, „ცისკრის მსოფლმხედველობის მიხედვით“, არის ის, საითკენაც „ცხოვრება მიექანება“, საშუალება კი—თვით ცხოვრება ამ მიმდინარეობის პროცესში. მიზანი და საშუალება „ცისკრისთვის“ არის არა პირდაპირი თქმა მისი შეხედულებისა, არამედ მხოლოდ მეტაფორა. ყოველი მოვლენა კერძოდ და მთელი მსოფლიო საერთოდ „ცისკრის აზრით“, არის მხოლოდ მიზეზი იმისი, რასაც ეს მოვლენა ან მსოფლიოს ეხლანდელი მდგომარეობა გამოიწვევს სახვალიოთ, მხოლოდ მიზეზი და არა მიზანი ან საშუალება.

ასეთი მსოფლმხედველობის მატარებე-

ლი თეორიულად ბრმა არსებაა; იგი შეგნებულად ვერც რაიმე მიზანს დაინახავს თვალწინ და ვერც ამ მიზნის მისაღწევად საშუალებას იპოვის; იმისთვის ცხოვრების მიმდინარეობა ბრმა პროცესია... მაგრამ ასე უმიზნოდ და უიდეალოდ ცხოვრება ადამიანისათვის ყოვლად შეუძლებელია. იდეალი, მიზანი და საშუალება პრაქტიკულ ცხოვრების გზას ერთად ერთი შესაძლებელი მაჩვენებელია. აი, აქ იწყება მარქსისტულ მექანიკურ მსოფლმხედველობის კრიტიკული მომენტი, იმისი განსაცდელი. ქართული მარქსიზმი ამ განსაცდელს იმ ძირითადი სოფიზმის წყალობით აღწევს თავს, რომ მიზეზს—საშუალებად აცხადებს, ხოლო შედეგს კი—მიზნად და რადგან ყოველი რეალური მოვლენა ერთის მხრივ სხვა მოვლენის შედეგია, ხოლო მეორის მხრივ კი რაიმე ახალის მოვლენის მიზეზი, ამიტომ—ქართულ მარქსიზმის თვალსაზრისით—ყოველი რეალური მოვლენა ერთსა და იმავე დროს მიზეზიც არის და საშუალებაც. ამ სოფიზმს, ამ ძირითადს სოფიზმს ქართველ მარქსისტების ენაზე ჰქვიან დიალექტიკური განვითარების ფილოსოფია. ამ ფილოსოფიით შეიარაღებულნი ქართველი მარქსისტები ყოველთვის თავისუფლად ახტუნავებენ მიზანს საშუალების ადგილზე, ხოლო საშუალებას მიზნის ადგილზე. ეს თავისუფალი გადასკუპ-გადმოსკუპება მიზნისა და საშუალებისა ერთი-მეორის ადგილზე მათ დიდ ავლადიდებად მიაჩნიათ. ან კი რატომ არ უნდა მიაჩნდეთ იგი ავლადიდებად? ეს სოფიზმი ყოველთვის და ყოველმხრივ გზებსა ჰხსნის: რაც მოეპრიანებათ, იმას გამოაცხადებენ მიზნად, როცა მოეპრიანებათ, მაშინ გადააქცევენ მიზანს საშუალებად. იყო ერთი დრო, როცა ქართველი სოციალდემოკრატები, თავის სოციალისტობის მიუხედავად, ტფილისის წვრილ ვაჭრების მოთხოვნილებათა სიას იმუშავებდნენ; იყო ისეთი დროც, როცა ქართველი სოციალ-დემოკრატები ხაზგასმით ჰქადაგებდნენ, სოფლებში დემოკრატიულ და არა სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციების დაარსების საჭიროებას; ეს მუშაობა და ქადაგება პიტალო სიტყვად არ დარჩენილა, ქართველი სოციალ-დემოკრატები საქმითაც ხელმძღვანელობდნენ ქალაქის ვაჭრებს და სოფლის დემოკრატიულ ელემენტების უადგილობა, მიზნის და საშუალების თეორიული უქონლობა ქართველ სოციალ-დემოკრატებს ყოველთვის უადვილებდა მათის უპრინციპობის დაფარვას და საკუთარი სინიდისის წინაშე თავის გამართლებას.

აქამდე ჩვენ იდეალის თეორიულ უქონლობაზე ვლაპარაკობდით. პრაქტიკულად კი ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რა თქმა უნდა, ნათლად გამოქანდაკებული იდეალი აქვთ. ეს იდეალია—სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გაძლიერება. გვახსოვს და ეხლაც ყურებში გვიწივის სოციალდემოკრატთა ერთ-ერთ ინტელიგენტ ბელადის გულის სიღრმიდან ამონაწყვეტი ხრინწიანი ხმა: „პარტიისთვის ყველაფერს ჩავიდენთ, მუშტის კრივსაც გავმართავთო“. ეს სიტყვები ამ ბელადმა ერთ-ერთ კულტურულ დაწესებულების კრებაზე წამოისროლა, როცა მას შეჰნიშნეს, თავი უწესოთ გიჭირავთ თქვენ და თქვენს ამხანაგებს, სირცხვილიაო... მაგრამ, რას ჰქვიან სირცხვილი იმათთვის, ვისაც პრაქტიკულად ერთად ერთი მიზანი გააჩნიათ—პარტიული გაძლიერება და გამარჯვება, ხოლო ცხოვრების რეალურ მიმდინარეობის თითოეულს მომენტს კი თავისუფლად წარმოუხრელად გამოაცხადებენ ხან მიზნად, ხან საშუალებად იმის-და მიხედვით, თუ როდის რა უფრო ხელსაყრელია პარტიულ გაძლიერებისთვის.

არა სხარტული ოქმისათვის, არა სალანძღავად, არამედ ფაქტის შესაფერი სახელით აღსანიშნავად ქართველ სოციალ-დემოკრატების ზემოდ გამორკვეულ პრაქტიკულ ფილოსოფიას, მოქმედების ტაქტიკას და მის ყოფაქცევას—ჩვენ იეზუიტიზმს ვუწოდებთ. ეს ჭეშმარიტი, ნამდვილი იეზუიტობაა. იგი იეზუიტობაა თეორიულად, იეზუიტობაა პრაქტიკულად. „ცისკარი“ კი ჰგონია, მაგრამ არა... არ კა ჰგონია, თავს იკატუნებს, ვითომც ასე ფიქრობდეს, რომ იეზუიტობა ჩვენს პირველს წერილში (№ 12), როგორც უბრალო სალანძღავი და სათრევი სიტყვა, ისე ყოფილიყოს ნახმარი. მართალი გითხრათ, „ცისკრის“ პუბლიცისტებო, ეს ვერაფერი სიმამაცეა. არც შეგშვენით.

იეზუიტობასთან ერთად „ცისკრის“ სოციალ-დემოკრატებს ჩვენ დემაგოგობაც ვუკიჟინეთ. „ცისკარი“ აქაც თავს იკატუნებს, ვითომც ეს სიტყვაც მათ გასალანძღ-გასათრევად გვეხმაროს. ტყუილა ნუ გგონიათ, შეცდომაში შეიყვანოთ ვინმე. თქვენს მსოფლ-მხედველობას პრინციპად აქვს გადაქცეული, რომ იდეალი და ის, თუ „საითკენ მიექანება ცხოვრება“—ერთი და იგივეა. აქედან კი უძლები ნაკადული მომდინარეობს ბრბოს ქვენა გრძნობების გაღიზიანების და ამ გრძნობათა ზღვაზე ცურაობისა მედიდურების ნავით. დემაგოგობას შეურაცხსაყოფელად კი არ გიკიჟინებთ, არამედ იმიტომ რომ თქვენი საკუთარი სახე დაინახოთ სარკეში. სარკისა რა ბრალი იყო, მაიმუნმა რომ იგი დაამსხვრია, ლამაზი არა ვჩანვარო.

იეზუიტობა... განა იეზუიტობის დამახასიათებელი სწორედ ის არ გახლავს, რომ მას ყველაფრის გამართლება შეუძლია მიზნით? განა ქართველ სოციალ-დემოკრატებს ყოველი რეალური მოვლენა არ შეუძლიანთ გაამართლონ ამ მოვლენის შედეგით მით, რომ შედეგს მიზანს დაარქმევენ, თვით მოვლენას კი საშუალებას? განა მათი მსოფლ-მხედველობის ქვაკუთხედი ის სოფიზმი არ არის, რომელიც მიზანს და შედეგს ერთსულ და ერთხორც ჰქმნის?—არა, „ცისკრის“ პუბლიცისტებო, იეზუიტობა და დემაგოგობა უბრალო სიტყვის მასალა ნუ გგონიათ, იგი თქვენი ობიექტიური თვისებაა!

რა თქმა უნდა, ასეთ პუბლიცისტებთან კამათი ადვილი საქმე არ გახლავს, რადგან სიტყვის გადაბრუნება და აზრის გამრუდება მათ სათაკილოდ და საძრახისად არ მიაჩნიათ, მაგრამ მაინც განვაგრძობთ კამათს... განვაგრძობთ ხვალ.

## „ნოვ. ვრ.“ მოსალოდნელ ომის შესახებ.

„ნოვოე ვრემია“-ს თანამშრომელს, მენშიკოვს, ამიერ-კავკასიიდან და იაპონიიდან მიუღია წერილები, რომლებსაც ძლიერ ცუდ გუნებაზე დაუყენებია კონსერვატიული მწერალი. ამ წერილებიდან სჩანს, რომ იაპონია და ოსმალეთი სა-მრთ ემზადებიან, რუსეთს ემუქრებიან, უკანასკნელი კი, მენშიკოვის სიტყვით, ვერა ყოფილა მომზადებული „იაპონია ისევ ემზადება რუსეთთან. საომრადაო,—სწერს კორესპონდენტი მენშიკოვს,—ახალ ომის მიზანია მიაღწიოს იმავე შედეგს, რისთვისაც პირველი ომი დაიწყო. ეს შედეგია კონტრიბუცია, იაპონიის ფული უნდა, შოვნით-კი ვეღარსაიდანა შოულობს. ეხლა ის და დარჩენია, ვისმეს გამოჰგლიჯოს ფული, როგორც გერმანია მოექცა საფრანგეთს... პორტსმუტის ხელშეკრულებას იაპონია ისე უყურებს, როგორც დროებით ზავს... ამ დროებით ზავის დროს იაპონიამ კარგად დაისვენა, მშვენიერად შეიარაღდა და ისე მოემზადა, რომ დასუსტებულ მტრის დამარცხება ადვილად შეუძლიან. 342 ბატალიონის მაგიერად იაპონიას დღეს 500 ბატალიონი ჰყავს და მალე 600 ბატალიონზე აიყვანს. ასევე კარგადა აქვს მოწყობ-რიგებული საქმე დიპლომატიაშიაც“.

ამაზე უფრო საყურადღებოა ის წერილი, რომელიც მენშიკოვს ამიერ კავკასიიდან მიუღია. „ოსმალეთის ქვეითა ჯარმა —სწერს კორესპონდენტი,—არტილერიისა და ქურთების დახმარებით სპარსეთში ურმიის ოლქი დაიჭირა. ამ დღეებში ოსმალეთის ქურთებმა მაკუს სახანო გადაიარეს, რუსეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ და იქ ცხარე შეტაკება მოუვიდათ რუსის ორ როტასთან და ორ ასეულთან, რომელთაც 10.000 ტყვიაზე მეტი გაუსროლიათ. ცხადია, ოსმალებმა ქურთები იმიტომ გაგზავნეს, რომ მაკუს სახანო დაიჭირონ და მერე მდინარე არაქსს დაუახლოვდნენ. ოსმალები აზიის ოსმალეთში ჯარს აგროვებენ, საზოგადო მობილიზაციისთვისაც მხნედ ემზადებიან; ეს მობილიზაცია გაზაფხულამდე, უეჭველია, კავკასიასთან ახლო მდებარე. მთელ მეოთხე სამხედრო ოლქზე გავრცელდება. მარტო ამ ერთ ოლქში მოგროვდება 15 ქვეითა დივიზია, 6 პოლკი ერეგულიარული კავალერია, 234 სხვა და სხვანაირი ზარბაზანი, 65 ცხენოსანი პოლკი ქურთებისა; აქედან მარტო ცხენოსანი 25 ათასი იქნება. არტილერიას ახალის ზარბაზნებით ავსებენ. ამასთან ერთად მხედველობაში მისაღებია, რომ ოსმალეთის ჯარის-კაცები ექვსი წლიწადი სწავლობენ, პატრიოტიზმით არიან გამსჭვალულნი; რომ ოფიცერთა უმრავლესობას სამხედრო სასწავლებელი აქვს გათავებული, გერმანიის სასწავლებლებში უსწავლიათ და მათი სკოლა აქვთ გავლილი,—ყველა ამას თუ მივიღებთ მხედველობაში, ჩვენთვის ცხადი შეიქმნება, თუ რა-და აქვს ოსმალეთს ასეთი დიდი იმედი გამარჯვებისა“.

„რანაირ მდგომარეობაში იმყოფება კავკასია?—კითხულებს კორესპონდენტი:—კავკასიაში რუსეთს სულ ცხრა დივიზია ჰყავს, აქედანაც ნახევარზე მეტი ჯერაც იქ არის გაფანტული, წესიერებ[ის] დასაცველად. სამხედრო მომზადება იმაზე დაბალია, ვიდრე 1904 წელს იყო. არტილერიის მხოლოდ ერთ ნაწილს აახლებენ, და ისიც ძველის სისტემის ზარბაზნებით. ყარსი და ბათომი 1877 წლის სისტემის ზარბაზნებით არის შეიარაღებული. სურსათი სულ არ არის. კავკასიაში შიმშილობაა. ბევრს ჯარში ცხლავე დამშეულები არიან სალდათები—ზოგიერთები მთელის კვირეობით მარტო ხმელ პურსა სჭამენ. ყაზახთა ერთს პოლკში ამ რამდენისამე ხნის წინად შიმშილისაგან ორმოცი ცხენი მოკვდა. ჯარის არც ერთი უფროსი თავის საზღვრებსაც კი არ იცნობს, არა თუ ოსმალეთისას. უმთავრესად შტაბმა არ იცის არც ერთი გზა, რომელიც ოსმალეთის საზღვრისაკენ მიდიოდეს. ჯაშუშობა მოწყობილი არ არის. გზის მაჩვენებლები არა ჰყავთ ყოფილი სამხედრო აგენტები ოსმალეთისა კავკასიაში არა მსახურობენ. პოლკებში არც გელიოგრაფებია, არც მინდვრის ტელეფონები, კომპასები, დურბინდები.“

ასეთი ყოფილა, მენშიკოვის სიტყვით, რუსეთის მდგომარეობა.

## პორტუგალიის მეფის მოკვლა

—:—

როგორც პორტუგალიიდან იუწყებიან, 19 იანვარს, საღამოს 6 საათზე, პორტუგალიის მეფე კარლოსი ცოლ-შვილით ვილლა-ვიზიოზადან ლისაბონში მიდიოდა. როდესაც ეტლი მოედნიდან არსენალის ქუჩაზე გავიდა, ვიღაც თოფებით შეიარაღებულებმა სროლა აუტეხეს. ესროდნენ მეფესა და მემკვიდრეს. მეფე და მემკვიდრე მძიმედ დაიჭრნენ და მალე გარდაიცვალნენ. ორი მკვლელი იქვე მოჰკლეს. იმავე ეტლში ისხდნენ დედოფალი ამელია და ინფანტი მანუელი. დედოფალი უვნებელი გადარჩა, ინფანტი მსუბუქად დაიჭრა. მეფე სამის ტყვიით დაიჭრა. ერთი კეფაში მოხვდა, მეორე მხარში და მესამე კისერში. უკანასკნელმა ტყვიამ გამოიწვია უეცარი სიკვდილი. მემკვიდრესაც სამი ტყვია მოხვდა თავსა და მკერდში. ინფანტი მანუელი დაიჭრა ყბასა და ხელში. მემკვიდრე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ მალე გარდაიცვალა. არემარეს ჯარი შემოერტყა დ[ა]...

## ფელეტონი

## შეშლილნი

პიესა ორ სურათად

**მოქმედნი პირნი:**

| | |
|---|---|
| თავადი | ექიმი. |
| ადამ | უფროსი მეთვალყ. |
| ანდრონიკა. | მეთვალყურე. |
| ტიგრან. | მეთვალყურე ქალი. |
| გედევან. | ივანე. |
| ყაფლან. | სიმონა. |
| მაქსი. | უცნობი. |
| ბრმა. | მოსამსახურენი. |

გაზაფხულის დილაა. სცენა წარმოადგენს აწყვანებულ ბაღს. მარჯვნივ მოსჩანს ერთ-სართულიანი სახლის წინა მხარე აივნით. ბაღში მწვანედ ან თეთრად შეღებილი ზურგიანი სკამებია აქა-იქ ჩადგმული, ხოლო შუა სცენა თავისუფალია, სცენის ერთ კუთხეში დგას შუა ზომის გალაქული მაგიდა. ფარდის ახდისას, სცენაზე არავინაა.

გამოსვლა 1.

(გამოდიან მარცხნივ მხრიდან ივანე და ერთი მოსამსახურე. ორივე ფართუკ-აფარებულია. ივანეს ტალიერი კალათა უჭირავს ხელში, მოსამსახურეს კი ვიდაცის გაგაქსული ფეხსაცმელი).

**ივანე**. ასეა ჩემო ძმაო: ყველა დაიღუპა, ვინც ღმერთსა და კანონს გადაუდგა. ზოგი ვირის აბანოში ჩალპა, ზოგსაც გონება წაერთო და აქ ერეკებიან საგიჟეთში. აი, ეხლაც მოაბრძანეს ერთი ვიღაც ბატონი და ბევრსაც კვლავ ვიხილავთ. იცოდე, უმიზეზოდ არა ხდება-რა. იგი (მაღლა უჩვენებს) ყველაფერსა ჰხედავს და არავის არას შეარჩენს.

გამოსვლა 2.

(გამოდის მარცხნივ მხრიდანვე ფართუკ-აფარებული სიმონა).

**სიმონა**. ივანე! ივანე! მოიცა გეთაყვა, საჭირო საქმე მაქვს!

**ივანე** (შედგება). რა გინდა?

**მოსამსახურე** (სახლში შევა და კარებს მიიკეტს).

**სიმონა**. ფული მასესხე!

**ივანე**. რამდენი? რა ვადით?

**სიმონა**. ოთხი თუმანი ხუთიოდე ცვით.

**ივანე**. ჩაშუსტა! დაამზადე ხელ-წერილი.

**სიმონა** საწინდარი? [სა..გებელი?]

**ივანე**. როცა იცი ჩემი ნიხრი, რაღას მეკითხები?

**სიმონა**. შენი ნიხრი წელში გამტეხს...

**ივანე**. მაშ მიბრძანდი და სხვასთან ეძიე.

**სიმონა** უკანასკნელი სიტყვა?

**ივანე** კაპეიკსაც არ დავაკლებ.

**სიმონა** ეგ რა ამხანაგობაა?

**ივანე**. ჩემი ამხანაგი ფულია, იმაზე ერთგული ვერავინა ვნახე. სთქვი, თანახმა ხარ თუ არა?

**სიმონა**. მეტი რა გზა მაქვს, როცა მიჭირს...

**ივანე**. რა მოგსვლია, ბიჭო?

**სიმონა**. ბავშვი მიკვდება. ექიმის აზრით, აგარაკის ჰაერი და დიდი მოვლა გადამირჩენს. ოჰ, ივანე, რომ იცოდე, რა ანგელოზია!

**ივანე**. ახია შენზე: როცა ილაჯი არა გქონდა, ცოლს რად ირთავდი. (ერთი წამით მაუზა), ეგ ყველა კარგი, მაგრამ... შესძლებ კი შენი მცირე ჯამაგირით ცოლ-შვილის რჩენას და ვალის გადახდასაც?

**სიმონა**. რატომაც არა?

**ივანე**. ვისი იმედი გაქვს?

**სიმონა**. ჯამაგირს გვიმატებენ.

**ივანე**. ვინ მოგახსენა?

**სიმონა**. როგორ?!

**ივანე**. უარი უთქვამს საზოგადოებას, „თქვენ, რომ მოგიმატოთ, „გიჟები დაიჩაგრებიანო“.

**სიმონა** (თავ-ზარ დაცემული), ვაი შენ ჩემო თავო!

**ივანე**. არა, ძმაო, ვერ გენდობი.

**სიმონა** (დგას გაშტერებული).

გამოსვლა 3.

(სცენის სიღრმეში გამოვლის და მარცხნივ გაემართება ორი მოსამსახურე, რომლებიც საკაცეთი მიაცილებულს მიასვენებენ.)

**ივანე**. (ქუდს მოიხდის და პირჯვარსაც გამოისახავს. მერე გასძახებს ერთ იმათგანს). შენ, ეი, ანდრია! რატომ არ იძლევი ჩემს ათ შაურს? გეგონა შეგარჩენდი? ხა-ხა-ხა-ხა! (ისინი შეუხერხებლივ მიდიან და [ჩამო]ეფარებიან).

**ივანე** (სიმონას გადაუბღვერს). შენ არ შეგეძლო ღმერთის ხსენება?

**სიმონა**. (მწუხარებით ხელებს ჩაიქნევს და მიდის).

გამოსვლა 4.

(გამოდის მარცხნივ მხრიდან უფროსი მეთვალყურე. ღამაზი ყმაწვილია. აცვია შნოიანი ევროპიული ტანისამოსი.)

**უფროსი მეთვალყ**. (სიმონას). სიმონ! სიმონ! ერთ ერთ მეთვალყურეს დამიძახე!

**სიმონა**. (შედის სახლში)

**უფრ მეთვალყ**. ივანე! ანდრონიკა უგუნებოთ არის?

**ივანე**. არა.

**უფრ. მეთვალყ**. მაშ წამოიყვანე და სამზარეულოდან პური შემოზიდეთ!

**ივანე**. (თავს უკრავს და შედის სახლში).

**უფროსი მეთვალყ** (ჯერ საათს დახედავს, მერე გზას ათვალიერებს, მივა მაგიდასთან და ერთ წაქცეულ სკამს გაასწორებს. ამოიღებს პაპიროსს და გააბოლებს).

გამოსვლა 5.

(გამოდის ახალგაზრდა მეთვალყურე. ევროპიული ტანისამოსი აცვია).

**უფროსი მეთვალყ**. ჩაი დალიეს?

**მეთვალყ**. ჯერ არა.

**უფრ. მეთვალყ**. მიცვალებულს გასვენებამდე, კარში არ გამოასხათ. უსუფთაონი და შფოთიანნი პალატებში დასტოვეთ! დღეს შეიძლება, საზოგადოების საპატიო წევრი მოჰყვეს ექიმს.

**მეთვალყ** (უკან ბრუნდება).

**უფროს. მეთვალყ** მოიცადინე, ბენედიქტე! ერთი ინტელიგენტი კიდევ მოგვემატა. ტვინის პროგრესიული დამბლა უნდა ჰქონდეს. ეხლავ შემოვიტყუილებ აქა. სამოთხის გუბერნატორს ჰკითხულობს დაჟინებით. შეიძლება პალატებში შეყვანის დროს გაძალიანდეს, მაგრამ რა გაეწყობა: ექიმის მოსვლამდე როგორმე ჩააცვით ტანისამოსი, ხოლო ჯერ კი აბანავეთ!

გამოსვლა 6.

(გამოდიან ივანე და შეშლილი ანდრონიკა).

**უფროსი მეთვალყ**. გამარჯობა, ბ-ნო ანდრონიკა!

**ანდრონიკა** (ღიმილით). აა... გაგიმარჯოთ!

**უფ. მეთვალყ**. (ხელს გაუწვდის).

**ანდრონიკა** (ისიც გაუწვდის, მაგრამ შეცრივ განზე გახტება).

**უფრ. მეთვალყ** რა მოხდა?

**ანდრონიკა** (მიუთითებს სივრცეში). ნებას არ ძლევა!

**უფრ. მეთვალ**. რა მინდაო?

**ანდრონიკა**. არა სცალიან (ცადი თვალით სივრცისაკენ იცქირება). ადამიანის ძვლებისაგან ნიჟარს ამზადებს, რის გამო ბედნიერი ტყეები სიცილით იხოცებიან. ხა-ხა-ხა-ხა! საწყლები ძლივს არ მოისვენებენ! ხა-ხა-ხა-ხა! აი რა საოცარი წესები შემოუღია. დროება იცვლება, ბატონო! დიაღ იცვლება. (ივანეს) აბა, სანჩო-პანჩო, წავიდეთ! (მიდის საჩქაროდ მარცხნივ, ივანეც გაჰყვება)

**უფრ. მეთვალ**. აქ იყავ! მოსამსახურენიც მზად იყოლიე! (გადის მარცხნივ).

**მეთვალ**. (მივა ერთ-ერთ ფანჯარასთან და გასძახებს) ვიქტორ! გამოგზავნე ორი კაცი! (ბრუნდება შუა-გულ სცენაზე და პაპიროსს გააბოლებს, მერე ჩამოჯდება სკამეიკაზე და დაფიქრდება ერთი წუთით).

გამოსვლა 7.

(გამოდის სცენის სიღრმიდან ლამაზი მეთვალყურე ქალი. აცვია სადა, მაგრამ შნოიანი ტანისამოსი. მიეპარება უკანიდან და თვალებზე ხელებს მიაფარებს).

**მეთვალ**. (შეკრთება). ვინა ხარ?

**მეთვალ. ქალი**. აბა მიცანი, ბატონო პსიხიატრო!

**მეთვალყ**. (წამოხტება აღტაცებული). ოჰ, ჩემო სიხარულო! ბედნიერება! იმედო! სასოება! რა რიგ მიყვარხარ! ჩაიკრავს გულში და ვნებით ჰკოცნის).

**მეთვალ. ქალი**. კმარა, ბენედიქტე! არავინ დაგვინახოს...

**მეთვალ**. სხვა? მორიგეობა ჩააბარე?

**მეთვალ. ქალი**. უკვე.

**მეთვალ**. რაღაც კაი ფერზე ხარ, ხომ არ ჩაგეძინა წუხელ?

**მეთვალ. ქალი** არც ერთი წუთი.

**მეთვალ**. ყოჩაღ!

**მეთვალ ქალი** წარმოიდგინე, მთელი ღამე წერაში გავატარე და აღმოვაჩინე, რომ წერის დროს ადამიანს არ ეძინება ასე, რომ იმედი მაქვს, კვლავ პირნათლად ვიმორიგეო.

**მეთვალ**. კეთილი, კეთილი.

**მეთვალ. ქალი**. ჩემი ბარათი მიიღე?

**მეთვალ**. (არას უპასუხებს).

**მეთვალ. ქალი**. ბენედიქტე, შენ გეკითხები.

**მეთვალყ**. ის წიგნი წაიკითხე?

**მეთვალყ ქალი** არა.

**მეთვალყურე**. ეს ვარდის კონა ვინ გიძღვნა?

**მეთვალყ. ქალი**. ჩვენმა ამხანაგმა და საერთო მეგობარმა.

**მეთვალყ**. უფროსმა მეთვალყურემ?

**მეთვალყ ქალი**. დიაღ.

**მეთვალყ**. აჰა! (უსიამოვნების ელფერი გადაჰკრავს) ხშირად გიწვევს ხოლმე? დიდ ხანსაც რჩება?

**მეთვალყ. ქალი**. ეს გამოკითხვა რას მოასწავებს? იქნებ იჭვიანობ?

**მეთვალყ**. რომ მიყვარხარ, მიტომ ვეჭვიანობ, ჩემო საუნჯე!

**მეთვალყ. ქალი**. იჭვიანობა ეგოისტური გრძნობაა, რომელიც მთელს ჩვენს მომავალს მოშხამავს. აკი გიყვარვარ, აკი უფროსი მეთვალყურე შენი ერთგული მეგობარია? რა საწყენია, რომ ადამიანს ასე ამცირებ ხოლმე შენის უნდობლობით.

**მეთვალყ**. მეც ძლიერ ვწუხვარ, რომ შენ ასე ნაკლებად აკვირდები ცხოვრებასა და ადამიანებს.

**მეთვალყ. ქალი**. საბუთი?

**მეთვალყ**. მაგაზე შემდეგ, ხოლო გეტყვი, რომ შენ ის მოციმციმე ვარსკვლავი ხარ, რომელსაც ველოდები, რომელიც ცხოვრებასთან მაერთებს და ჩემს გულს საამოდ აძგერებს. ჩემო მტრედო! რა ვქნა, როცა ძვირად მიდირხარ, და გიფრთხილდები; რა ვქნა, როცა მეშინი-

ჩხრეკა დაიწყო. მეფის მხლებელმა აფიცერმა ფრანჩესკო ფიგუირამ, რომელიც ეტლის გვერდით მიდიოდა, იქვე მოჰკლა მეფის ერთი მკვლელი, მეორე პოლიციამ მოჰკლა რატუშასთან. მკვლელთა ვინაობა ჯერ არ გამოურკვევიათ, ჰფიქრობენ, რომ ერთი ფრანგია, მეორე ესპანელი. თოფებს წამოსასხამებს ქვეშ მალავდნენ.

## ახალი ამბავი

✦ **სროლა და მკვლელობა.** გუშინ, 21 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზედ, სომხის ბაზარში, სომეხთა ჯიგრაშენის ეკლესიასთან საშინელი სროლა ასტყდა. კაცს ეგონებოდა, მტერი შემოესია ქალაქსაო. სროლამ ძლიერ დააფრთხო ხალხი. მალე მთელს ქუჩაზე და ერევნის მოედანზედაც მაღაზია-დუქნები დაიკეტა. ხალხი, მეეტლეები და მედროგეები იქითაქეთ გარბოდნენ. სროლამ რამდენსამე წამს გასტანა. არავინ იცოდა რაშია საქმე. ბოლოს გაჩნდნენ პოლიციელნი და ცნობის მოყვარე ხალხმა მიატანა იმ ადგილას, სადაც სროლა ასტყდა. გამოირკვა შემდეგი. ამ ქუჩაში გაუვლია პატრიოტულ საზოგადოების წევრს ცნობილ ნიკიფორე პერუშკინს. რომელსაც უკვე რამდენჯერმე დაეცნენ. ამ დღეს იგი ცოლთან გაყრის საქმის გამო სასინოდო კანტორაში ყოფილა დაბარებული. მასთან ყოფილა ტეხნიკოსი მიხეილ სევერგეევი და ერთიც სხვა ვიღაცა. როდესაც პერუშკინი ამხანაგებით მიახლოვებია ჯიგრაშენის ეკლესიას, მათ თავს დასცემიან უცნობნი და აუტეხიათ სროლა. როგორცა სთქვეს, უცნობებს სამოცამდე ტყვია დაუხლიათ პერუშკინისათვის. პერუშკინი დაიჭრა თავსა და ფეხებში. სროლის დროს მოჰკლეს პერუშკინთან მყოფი ტეხნიკოსი, 19-20 წლის ყმაწვილი, მიხეილ სერგეევი და მეორე წითელ წვერა კაცი, რომლის ვინაობაც მიხეილის საავადმყოფოში ჯერ ვერ გამოარკვიეს. მოკლულებს რამდენსამე ადგილას აღმოაჩნდათ ტყვია მოხვედრილი. სროლის დროს ქუჩაში ბევრნი ყოფილან. შემთხვევით დაჭრილა ერთი ქალი და 7 კაცი. სხვათა შორის, დაჭრილა დავით სარიბეგოვი. მას ტყვია ზურგში მოჰხვედრია და მუცელში გავარდნილა. დაიჭრნენ აგრეთვე: ისაკ აივაზოვი, არშაკ მარქაროვი, კონსტანტინე ედილაშვილი, ელისაბედ ანდრიასოვი, სარქის მელიქ გულნაზაროვი, ბენიამის ნეიმანი და გიორგი ალექსანდროვი. დაჭრილები ეტლებით მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. ამ ამბის შემდეგ ჯარი შემოარტყეს უბანს და შეუდგნენ ჩხრეკას. მსროლელთაგან, როგორც ამბობენ, არავინ დაუპატიმრებიათ.

✦ **მიმოსვლა ჯულფის გზაზედ.** 20 იანვრიდან წესიერი მიმოსვლა დაიწყო ულუ-ხანლუ-ჯულფის რკინის გზაზე.

✦ **საიდუმლო საყასბო** რიყის ქუჩაზე (№ 4) ქალაქის გამგეობის მოხელეებმა აღმოაჩინეს საიდუმლოდ მოწყობილი საყასბო. გამგეობის წევრმა თავ. არგუთინსკიმ, საყასბოს გამგემ ლანგემ და მოხელემ კ. ფირცხალაშვილმა დაათვალიერეს ეს საყასბო. საყასბო მოუწყვია შეძლებულ ყასაბს კარაპეტ ოჰანეზოვს, რომელიც ჯარსაც აწვდიდა ხორცს.

✦ **ცოლის მოკვლა.** 20 იანვარს ბებუთოვის ქუჩაზე მცხოვრებ გიორგი ლოლობერიძეს სამ ადგილას სასიკვდილოდ დაუჭრია თავისი ცოლი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ქმარი დააპატიმრეს.

✦ **დაპატიმრება.** 19 იანვარს, ღამით 12 საათზედ, ორთაჭალაში დააპატიმრეს სამი კაცი, რომელთაც აღმოაჩნდათ რევოლვერი 8 პატრონით. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ ალექსანდრე ოჩიგავა, ლავრენტი ჩოჩია და იასონ ზერკული.

✦ **უმაღლეს კურსებზე.** დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრ. ბაღი) მოხდება გ. მ. სმირნოვის ლექცია კავკასიის მადნეულობაზე.

✦ **პროფ. პეტრიაშვილი და მელიქიშვილი.** პროფესორები ვ. პეტრიაშვილი და პ. მელიქიშვილი აპირებენ ოდესის უნივერსიტეტს თავი დაანებონ და გადმოსახლდნენ ტფილისში. ვ. პეტრიაშვილმა შეატყობინა უმაღლეს კურსებს კავკასიის შესასწავლად, რომ იგი აპირებს ლექციების კითხვას ამ წლის შემოდგომაზე ტფილისში. ხსენებულ კურსებზე მოწვეულია აგრეთვე პროფ. პ. მელიქიშვილი.

✦ **ტფ. გუბერნატორის ცირკულიარი.** როგორც გავიგეთ, ტფილისის გუბერნატორს ცირკულიარი დაუგზავნია მაზრის უფროსებისა და სხვა მოხელეთათვის იმის შესახებ, რომ ყოველნაირი მოწერილობა სათანადო დაწესებულებისა თუ კერძო კაცის თხოვნები და შუამდგომლობანი არ დააგვიანონ ხოლმე კანცელარიაში და სამის დღის განმავლობაში ამ ქაღალდების შესახებ მოახდინონ შესაფერი განკარგულებანი. თხოვნებზე და სხვა ამგვარ ქაღალდებზე თვითონ უფროსმა მოხელეებმა უნდა დააწერონ განკარგულებანი და არაც და-არამც უმცროს მოხელეებს არ უნდა გადასცენ ასასრულებლად. ყურადღება უნდა იქონიონ, რომ უმცროსმა მოხელეებმა არ გააჩერონ ქაღალდები. ვისაც დაუდევრობას შეამჩნევენ, უნდა სამსახურიდან დაითხოვონ და გუბერნატორს აცნობონ.

✦ **კონსტანტინე ყიფიანის იუბილეი.** უკვე ვწერდით, რომ წელს 35 წელიწადი შესრულდა, რაც კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი ქართულ სცენაზე მოღვაწეობს. დრამატიულ საზოგადოებას აზრადა აქვს, 7 თებერვალს გამართოს საიუბილეო წარმოდგენა.

✦ **საკასაციო საჩივრის არ შეწყნარება.** სენატმა არ შეიწყნარა საკასაციო საჩივარი იმათი, ვინც სამართალში იყო მიცემული ალექსანდროპოლში მომხდარ გაფიცვის გამო და მიუსაჯა: ოთხი წლით კატორგა სარდიონ გეგენაშვილს და კახანოვს, გადასახლება—ბიბილაურს, თავდგირიძეს, სვანიძეს, ლეონტიევს და ვარლამოვს; ორი წლით დაპატიმრება—სადოვნიკოვს, თოფურიას, გაბრ. ვიშნიაკოვს, რუხაძეს, კოშრიძეს, ოშეროვს და ჩითაიას; ერთი წლით დაპატიმრება—პელენკინს, ლინდერბერგს, პავ. ვიშნიაკოვს, ფრანგიშვილს, გეჯუჩაძეს, არეშიძეს, ვარლამოვს, ბრეეოვსკის, პროწევსგუროვს და კევლიშვილს.

✦ **ქალის მოკვლა** 18 იანვარს ღამე ორბელიანის ქუჩაზე თავის ბინაზე ნახეს მოკლული ქვრივი პოლკოვნიკისა დიმიტრიევისა. ქვრივი დამე მოუკლავს ვიღაცას და გაუცარცვნია. მოსამსახურე მიმალულა. ფიქრობენ, რომ მან მოჰკლა ქალი.

✦ **წესები სტიპენდიების შესახებ.** შაბათს, 19 იანვარს, წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ შეიმუშავა წესი ძმ. ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდიების შესახებ. 1 იანვრიდან სტიპენდია იმ მოსწავლეთ, რომელნიც უკვე უმაღლეს სასწავლებელში არიან. პირველ ივლისიდან იმათ, ვისაც ატესტატები აქვთ და სექტემბრიდან შევლენ. ვისაც ატესტატი არ აქვს და ემზადება, იმას—შესვლის დღიდან.

✦ **ნახევარი მილიონი ყალბი ფული.** უკვე ვწერდით, რომ გორში აღმოაჩინეს ქაღალდის ყალბი ფულიო. უნახავთ მილიონზე მეტი უკვე დამზადებული ქაღალდის ფული და ფულის საკეთებული მანქანა. ამ რამდენისამე დღის წინად ნავთლუღის სადგურზე საიდუმლო პოლიციამ დააპატიმრა ქართველი სოლომონ ორჯონიკიძე, რომელიც გორიდან მონავლებული და ჩამომხტარა ამ სადგურზე. ორჯონიკიძეს თანა ჰქონია გიტარა. როდესაც გაუჩხრეკიათ, უბეში უნახავთ ორი ას მანეთიანი ყალბი ფული. გაუსინჯნიათ აგრეთვე გიტარა და უნახავთ 60,000 მანეთის ყალბი ას მანეთიანები. გაუგზავნიათ აგენტი გორში ორჯონიკიძის ბინის გასაჩხრეკად. ბინაზე უნახავთ დამზადებული ფული, სულ 570,000 მანეთისა. ეს ამბავი აცნობეს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს.

✦ **ცეცხლი.** 20 იანვარს ნიკოლოზის და ნეკრასოვის ქუჩების შესართავთან ღამე ცეცხლი გაუჩნდა და კიდაიწვა ჯაფარიძის სახლი. ზარალი, როგორც სახლის პატრონს, ისე ვაჭრებსა და მდგმურებს 8500 მანეთამდე მოსვლიათ. ცეცხლის ქრობის დროს დაშავდა რაზმელი ვასილ ვერეტენინი.

✦ **მკვლელობა.** 19 იანვარს, საღამოს $8^1/_2$ საათზედ, მინკვიცევის ქუჩაზე დეკანოზოვის სახლის მახლობლად ვიღაცა თავს დაეცა ზუგდიდის მაზრის მცხოვრებს ლაზარე სიჭინავას, ოთხჯელ ესროლა რევოლვერი და მოკლა.

✦ „ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების კავკავის სკოლაში მასწავლებლად ოთხის კანდიდატიდან სკოლის კომიტეტს აურჩევია ვერა წერეთელი—გარაზაშვილისა.

✦ გორის მაზრის სოფლებ დულუზაურთ-კარის, გორიმზვარის, ტუშურების, ზარიდზიანთ-კარის და საკრეჭის გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ნება მიეცეთ ისარგებლონ ახლო-მახლო მდებარე სახელმწიფო ტყეებით შინაურ პირუტყვის გამოსაკვებად. როგორც ისინი აცხადებენ, წრეულს ბალახი და თივა სრულებით არ მოსულა მათ სოფლებში.

✦ ახალციხის მაზრის ჩალის, ჩეჩერგის, ტბის, ინდუსის, მინაძის, ფერის-ცოხის, კოლტახევის, წყალთპილას, ქვემოიმერის, კამხის, ზერსის, კლდის, წორის, დგვრის და საგირის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ საგუბერნიო გამგეობის წინაშე, რომ ხაზინიდან შემწეობა აღმოეჩინოთ გამოსაკვებ პურის სასყიდლად.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „მოულოდნელმა სიკვდილმა ხელიდან გამომტაცა ჯერ კიდევ სულ ახალ-გაზრდა შვილი, გიმნაზიელი ბაგრატი. ვიმყოფები რა ეხლანდელ მდგომარეობაში, გთხოვთ [illegible] მულ გულშემატკივარ საზოგადოებას აღმომიჩინოს დახმარება და შემეწიოს, რომ ცოლ-შვილისა და მიცვალებულის გვამი ვივს მიწას. ჩემი ადრესი: კრასნოგორსკის ქუჩა, № 28. ქვრივი სალომე ჩხეიძისა“.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: «პარასკევს, 18 იანვარს, სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა 45 წლის კაცი, ცოტად ჭკუაზედ შეშლილი ილიკო დუღაშვილი. მნახველებს ვთხოვთ შეგვატყობინონ შემდეგის ადრესით: ოუმანოვის ვიწრო ქუჩა, სახლი კასრაძისა, № 24, ვანო ბალიაშვილი».

✦ ტფ. მოქალაქეს სერგო სარაჯევს 20 იანვარს, საღამოს 7 საათზედ, თავს დაეცა ორი უცნობი. ოთხჯერ უსროლიათ რევოლვერი, მაგრამ აუცდენიათ.

## პრესსა

რუსული გაზეთები დღეს ბევრსა სწერენ მესამე სათათბიროს მოქმედების შესახებ. აქვთ კიდეც საწერი. სათათბირო ისე ძალიან ჩაფლულა წვრილმან საკითხების განხილვაში, თითქოს იგი უბრალო კომისია იყოს, და არა საკანონმდებლო ორგანო, რომლის მიზანსაც ფართო საკანონმდებლო მუშაობა უნდა შეადგენდეს. ამ საკითხს ეხება გაზეთი „ნაშ დენ“.

მესამე სათათბირო რატომ არ არის აღფრთოვანებული? პირველ სათათბიროს აღფრთოვანებდა ძლიერი მისწრაფება ქვეყნის განახლებისაკენ. ასეთი აღფრთოვანება სათათბიროს, რომელიც მესამე ივნისის კანონით არის მოწვეული, არა აქვს.

რათ მოხდა, რომ რუსეთის პარლამენტი ვერას გზით ვერ გამოერკვა ბიუროსიდან და ერთავად უმოქმედო დაწესებულებას წარმოადგენს? ამაზე პასუხს იძლევა ამავე გაზეთის თანამშრომელი ბრუსილოვსკი.

ჩვენი კონსტიტუციონური ოპოზიცია ყოველთვის გვარწმუნებდა ხალხს,—სწერს ბრუსილოვსკი,— რომ რუსეთის პარლამენტის დანიშნულებას შეადგენს კონსტიტუციის „განმტკიცება“. ის დარწმუნებულია, რომ საკანონმდებლო გზით შეჰქმნის იმას, რაც ძლივს ჩამოყალიბდა, ან სრულიად ვერ ჩამოყალიბდა რევოლიუციის სტიქიურ პროცესში. აშენება და შემოქმედება მხოლოდ გაწმენდილ ნიადაგზე შეიძლება. ოპოზიციას ეგონა, რომ „პარლამენტის შემწეობით“ ის მოახერხებს ნიადაგის გაწმენდას, ე. ი. ძველ კანონებს უარყოფს და ახლებს შემოიღებს. ეს იყო ჯიუტი, და ამასთანავე მავნებელი ილიუზია, რომლის სიღრმეც მხოლოდ ბოლო ხანებში გამოჩნდა.

---

ან ადამიანისა?

**მეთვალყ. ქალი.** (დაატქერდება). მეგობარო, შენ ავათ ხარ,

**მეთვალყ.** რაში მემჩნევა?

**მეთვალყ. ქალი.** ამ ბოლო დროს სულ ჩამოხმი და ხან ცა ხან შენი საოცარი ქცევითაც მაშინებ ხოლმე.

**მეთვალყ.** მაგალითად.

**მეთვალყ. ქალი.** ლაპარაკის მოსმენა გიძნელდება, პასუხს აგვიანებ და ნაცნობებს გაურბი, რისთვისაც ყველანი გემდურებიან.

**მეთვალყ.** იქნებ ჰკუიდან ვიშლები. დედა-ჩემიც ასეთი იყო.

**მეთვალყ. ქალი.** აქაურობას თუ დროზე არ მიატოვებ, შეიძლება ეგრეც მოხდეს.

**მეთვალყ.** დამშვიდდი, ჩემო იადონო! გარწმუნებ, რომ გონებას მხოლოდ უშენობა შემირყევს.

**მეთვალყ. ქალი.** მაშ მე გამიგონე ყველაფერი, გესმის? მე და არა სულით ავადმყოფ ადამს, რომელიც გაძულებს ყოველივე ცხოველ-მყოფელს, თუ ეს ასე არ იქმნება, მაშინ მე შენზე ხელს ავიღებ, რადგან სიცოცხლე მწყურიან, სიცოცხლეს ვეტრფი... (ამ დროს შენობიდან მოისმის მომხიბლავი მუსიკა. ორივენი იქით მიტრიალდებიან). ვიშ რა მუსიკაა? (ყურს უგდებენ. პატარა ხანს შემდეგ მუსიკა შესწყდება) ვინ უკრავდა?

**მეთვალყ.** აგრონომი.

**მეთვალყ. ქალი.** ღმერთო ჩემო! ასეთი ნიჭიერი კაცი და შეშლილი.

**მეთვალყ.** ცხოვრების ბრალია, რომელსაც შენ ასე ძლიერ ეტრფი. ხა ხა ხა ხა!

**მეთვალყ. ქალი.** ოჰ, ნუ იცინი მაგრა. ადამს მაგონებ. აბა ეხლა კი ნახვამდის, ჩემო სიცოცხლევ! მთელი ღამის უძინარი ძლივს ვეღირსები მოსვენებას. ჩემი ნუ გეფიქრება. გული დაიმშვიდე! ერთი თვის შემდეგ შენი ცოლი გავხდები. (ჩაჰკოცნის და მირბის. უეცრივ მობრუნდება) ადამოს ჩაიზე ველოდები. (მიეფარება.)

გამოსვლა 8.

(გამოდიან მარცხნივ მხრიდან ანდრონიკა და ივანე. მოაქვთ ტომრებით ხურმა).

**ანდრონიკა** (ზურგზე ტომარა სამოკიდია, სანამ აივანს მიუახლოვდება, სამჯერ მიიხედავს უკან და თითო წამით შედგება. აივანთან შეკრთება, ტომარას ძირს დააგდებს და უკან მიიხედავს.) თავი დამანებე! რას ჩამციებიხარ? აკი ყველაფერი წამართვი, ეხლა ტყავსაც მძრობ? (გაშტერდება ერთის წამით, უეცრივ ნელი სიცილი აუტყდება).

**ივანე.** წავიდეთ, ბ-ნო ანდრონიკა!

**ანდრონიკა.** ნუ მელაპარაკებ თუ მართლა დემოკრატი ხარ, მიბრძანდი რომის პაპთან და კარდინალი ეთამაშე; (ამ სიტყვებს მწყრალად და თვალების ბრიალით ეტყვის.)

**ივანე.** უკაცრავად, უკაცრავად.

**ანდრონიკა.** ავადმყოფს ყურის გდება უნდა, სამაგალითო მანდილოსანია, მაგრამ სიკვდილის მოლოდინი არ ასვენებს საბრალოს. პატარა ქალ-ვაჟი დილით დანვე გადახიზნა მამამ. შუა-დღისას მოვა და კუდიან ბაბალესაც მოიყვანს. ძლიერ უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ავადმყოფი უშლის ეხლა მოვლენ, რომ დაგვიანებული პროცესსი როგორმე დააჩქარონ. ჯერ კარებს გადარაზავენ, მერე ფარდებს ჩამოუშვებენ, უეცრივ დაეცემიან და დაახრჩობენ, რის გამო მზე პირს იბრუნებს და სოფელიც დაბნელდება. აბა გავეშუროთ, მეგობარო, სანამ არ შებინდებულა. (სწრაფად აიკიდებს ტომარს და შედიან სახლში.)

გამოსვლა 9.

(გამოდის სახლიდან ორი მოსამსახურე. მეთვალყურე რაღაცას ეტყვის და ისინი განზე გადგებიან).

გამოსვლა 10.

(გამოდიან მარცხნივ მხრიდან უფროსი მეთვალყურე და გედევანი. კოსტა ევროპიულ ტანისამოსშია გამოწყობილი.)

**უფ მეთვალყ.** სამოთხე პარტიის გარეშე დგას, ბატონო გედევან.

**გედევანი.** მით უარესი თქვენთვის, მაგრამ არა უშავსრა. მე მოგარჯულებთ. ხვალიდან ჩემი დალით დაგდაღავთ ყველას.

**უფ. მეთვალყ.** ჯერ შეგვაგნებინეთ, ბატონო, საქმის ვითარება.

**გედევანი.** გამოიბით პარტიული თავი და შეგნებაც მოვა.

**უფ. მეთვალყ.** სხვისი თავი ცხოვრებას დაგვაშორებს.

**გედევანი.** Какой томъ „ცხოვრება!“ ცხოვრება მოკვდა, ცხოვრება მგელმა შესჭამა! (ხარხარებს).

**უფრ. მეთვალყ.** (იცინის).

**გედევან.** შესდექ! მოითმინეთ, მოითმინეთ! ეი თქვენ, წყნარად მანდა!

**უფრ. მეთვ** წამობრძანდით, ცოტა შევნაყრდეთ.

**გედევან.** მოწყალეო ხელმწიფევ! მე თქვენა გთხოვთ მიჩვენოთ სამოთხის გუბერნატორი! (მეთვალყურეს) უკაცრავად, თქვენ ხომ არა ხართ? აჲ მართლა? (განზე) აი, ეხლა კი მჯერა, რომ სამოთხეში ვარ. რა სადა კაცი ყოფილა. არც პაგონები, არცა ხმალი და არცა შპორები. O tempora, o mores!

**უფრ. მეთვ.** (გაიპარება).

**გედევან** (თავს უკრავს მეთვალყურეს). მოქალაქე! მე თქვენ ძლიერ მომწონხართ.

**მეთვალყ** რითი შემიძლიან გემსახუროთ?

**გედევან.** ჯერ-ჯერობით არ მიმაჩნია საჭიროდ გაგიმჟღავნოთ ჩემი ვინაობა, ხოლო გეტყვით, რომ (ყურში) მე ისა ვარ, ვინც იხსნა ავადმყოფი კაცობრიობა. ეხლა აქ ამოვსულვარ, რომ მოვახდინო საფუძვლიანი დეზინფიქცია. ამბობენ, ქრთამებს იღებენ და მთელი სამოთხე კაცის მკვლელებით აუვსიათო. დანარჩენი შემდეგ. რას იზამ, თუ კი ამას ტაქტიკური მოსაზრება თხოულობს...

(ჩაიკისკისებს).

**მეთვალყ.** კეთილი, კეთილი.

**გედევან.** უკაცრავად, ხომ არ გიშლით? მიბრძანდით! მე კი აქ დავიცდი.

**მეთვალყ.** ოო, აქ დაცდა შეუძლებელია.

**გედევან.** რატომ?

**მეთვალყ.** აქაური კანონით ჯერ ვანნა უნდა მიიღოთ, მერე ტანისამოსი გამოიცვალოთ.

**გედევან.** თქვენი ზრდილობა მხიბლავს და ამისთვის გენდობით სულით და გულით. იმედია, არ დამღუპავთ და ულუკმაპუროდ მიტოვებულ ცოლ-შვილს არ დამიობლებთ (შენიშნავს მოსამსახურეს) ესენი ვინ არიან? ჰო, ვიცი, ვიცი (თავს უკრავს. ისინიც უპასუხებენ). სალამი ბატონებო! (განზე) ქალაქის ხმოსნები და ფართუკ-აფარებულნი. ღმერთო ჩემო! რა საარაკო კონგლომერატია! (მას) ნება მიბოძეთ გკითხოთ: თქვენს ქვეყანაში რა წესწყობილება ჰბატონობს? რაო? დემოკრატიული რესპუბლიკა? (ტაშს შემოჰკრავს) ევრიკა! ევრიკა! ევრიკა! ბატონებო! მომილოცნია, ვინაიდან თქვენი ვარსკვლავი დღეს აღმობრწყინდა. ისე მომწონხართ, ისე, ისე, რომ მზადა ვარ ცოლ-შვილიც აქ გადმოვიყვანო.

**მეთვალყ.** მაშ ეხლა კი გთხოვთ გამომყევით. დრო ძვირად გვიღირს.

**გედევან.** ვემორჩილები დიდებული ქვეყნის დიდებულ კანონს. თქვენი ხმალი და ჩემი კისერი ბატონებო! (ადიან აივანზე).

**გედევანი.** (შეშინებული უეცრივ ძირს ჩამოარბენს, ისინიც ჩამოსდევენ) მოითმინეთ!... საით მიგყავართ? რაღაც მეშინიან.

**მეთვალყ.** რისა, ბატონო?

**გედევანი.** ეს (სახლზე) ციხე ხომ არ არის?

**მეთვალყ.** არა.

**გედევანი.** მაშ, რა საჭიროა ეს რკინის მოაჯირიანი ფანჯრები? სუს! (რადგას ყურს დაუგდებს) ეს გლოვის ზარი საიდან მოისმის? გეთაყვა! აქ ახლო-მახლო სასაფლაო ან მკვდრები ხომ არ არიან? ან იქნება ეს დანტეს ჯოჯოხეთია! მერე და რამ შეგაყვარათ, თქვე ბრიყვებო, ეს მყრალი ატმოსფერო? ჯალათნო! სანამ დრო გაქვთ, გამოტყდით, რომ მართალი ვარ, წინააღმდეგ შემთხვევაში მე თვით ჩამოგფხრეწთ მაგ ბოროტებით ავსებულ სათნოების მანტიას. გამოტყდით, რომ აქ წამების ჯურღმულია, სადაც თქვენა გსურთ შემიტყუილოთ და დამღუპოთ მართალი კაცი. რაო? უნდა დამახრჩოთ? მაწამოთ? ყელი გამომჭრათ? ოჰ, ბედკრულო ჩემო ივავ! უბედურო ცოლშვილო! დედა, შენი ჭირიმე! მიჰყავს და მიშველე! (გაშწარებული) მეშინიან, დედა დედა! მეშინიან, მეშინიან, მეშინიან!

**მეთვ ლყ.** ბატონო გედევან! ბატონო გედევან!

**გედევანი.** და თქვენც, ბატონო, ლიუციფერ, ფრთხილად! თუ რამ შემემთხვა, ქვეყნის წინაშე პასუხს თქვენ აგებთ. ფანატიკოსნო! მე ხომ თქვენი ახალი პრეზიდენტი ვარ (ხარხარებს) თქვენ ეი! გასწით წინ და გააჩირაღდნეთ მთლად არემარე. განკარგულება მოახდინეთ, მოართვან საპატიო გვამს საუკეთესო ჭანისამოსი, სიგარები, ჩაი რძით და შამპანური (მეთვალყურეს) თქვენ კი გაშალეთ ფრთები და მოჰფინეთ ბედნიერ რესპუბლიკას ამბავი ძვირფას პრეზიდენტის მობრძანებისა.

**მოსამსახურენი** (კარებს აღებენ და განზე გადგებიან).

**მეთვალყ.** (კარის მკლავს მკლავში, შეგდებ ვეგდანი სახლში და კარებიც მიიკეტება. ისმის წკრიალა ზარის ხმა. ჩაიზე ემატყვებიან ავადმყოფი).

ფარდა.

სრული ჭეშმარიტებაა. რუსეთის კონსტიტუციის სიყალბეც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი დამთავრებულ რევოლიუციის შვილი არ არის. რუსეთის სათათბიროს თავის არსებაშივე ატარებს სრულს წინააღმდეგობას, რაც ნაყოფიერ, ჯან-საღ მუშაობას შეუძლებლად ხდის.

## თეატრი და ხელოვნება

—:—

**ქუთაისი.** რომ ცუდად მიდის წლევანდელი სეზონი, ეს ყველასათვის ცხადია. სასურველია, მივაქციოთ ყურადღება ქართულ თეატრსათ, გაიძახის აქ ყველა. მიუხედავად ამისა თეატრში ხალხი მაინც არ დაიარება. ეხლანდელი ამხანაგობა სცდილობს, როგორც კი ძალა შესწევს, სამსახური გაუწიოს ხელოვნებას, მაგრამ დამფასებელი არავინა ჰყავს.

13 იანვარს, კვირას, აქ წარმოადგინეს ცნობილი დრამა გეიერმანისა „უიმედოთა მწუხარეთ", თარგ. ა. გარსევანიშვილისა. ამ სერიოზულმა პიესამ ვერ შეიზიდა საკმაოდ მაყურებელნი. ვინც კი მოვიდა თეატრში, ყველა კმაყოფილი დარჩა, როგორც პიესით, ისე ასრულებით.

აი მოკლე მიხაარსი ამ პიესისა. ახალგაზდა ქალი რითა კოკისპირულ წვიმაში მიადგა პასტორ ნანსენის სახლს, სოფლის გარედ. აქ, ორსული რითა დაღალულ-დაქანცული დაეცა კარების წინ. მეზობლები შეიყვანეს სახლში. დიდის წვალების შემდეგ გაუხსნა ქალი. რითას, როგორც კი ძალა მოეცა, შეიპყრეს ბავშვი და სოფლის დედა-კაცს ჩააბარეს. სოფელში მალე გაიგეს ეს ამბავი და ატყდა ერთი ალიაქოთი. ბავშვი „უკანონო" აღმოჩნდა. მრევლი ამხედრდა როგორც პასტორის, ისე რითას წინააღმდეგ. საქმე იქამდის მივიდა, რომ ძიძამ ბავშვს თავი მიანება, ძუძუს აღარ აწოვებდა. ავადმყოფ ბავშვის მოსავლელად წავიდნენ სოფელში პასტორი ნანსენი და რითა. პაწია ქმხილება იპოვეს ბოსელში გაშეშებულ დორებთან ერთად. ბავშვი კვდება. რითა არაფის ანებებს დასამარხავად თავის შვილის გვამს. ამავე დროს მეორე პასტორმა ბრონკმა, ნამდვილმა იეზუიტმა, დააბეზღა კონსისტორიის წინაშე თავისი მეგობარი ნანსენი. ეს უკანასკნელი გადააყენეს სამსახურიდან. ბრონკმა გასცა ბრძანება, ძალით ან ხერხით წაერთმიათ ბავშვის გვამი და დაესაფლავებინათ სასაფლაოს გარედ. მნათემ მოიპარა კუბო და ჩაფლა მიწაში. საწყალ რითას ნება არ მისცეს ჯვარი დაესვა „უკანონო" ბავშვის საფლავზედ, ნანსენის ნება დართვით რითას მიაქვს ყვავილები, რომლსაც რგავს თავის შვილის საფლავზედ. სწორედ ამ დროს ბრუნდება მოგზაურობიდან რითას ქმარი—ქმარი ღმერთის და არა ხალხის წინაშე" და ეს ანუგეშებს საბრალო ცოლს.

ქრისტიანული საზოგადოება ამხედრდა კეთილ პასტორის წინააღმდეგ. რათა? ნუ თუ იმიტომ, რომ მან უბედურ მშობიარეს ბინა მისცა... რად დასტანჯეს რითა? ნუ თუ იმიტომ, რომ მას არ ჰყავდა „კანონიერი ქმარი?". დიახ, ამიტომ. ეს ქრისტიანი ხალხი გამსჭვალულია იეზუიტიზმით. პასტორი ნანსენი მართალია, როცა ამბობს: ნათელს ქრისტიანობისას ადამიანის გულის სიღრმემდის არ მიუღწევია, არ გაუთბია მისი სული. უმეტესობა გატაცებულია მხოლოდ ვიწრო ფანატიზმით.

პიესა კარგად შეასრულეს. კარგი იყო იეზუიტ ბრონკის როლში ბ. ზარდალიშვილი. რითას როლს ასრულებდა ქ ნი დავითაშვილი. მან სინამდვილით გამოხატა უბედურ დედის სულიერი ვითარება. მისმა გულწრფელმა თამაშობამ ღრმა შთაბეჭდილება იქონია მაყურებლებზედ. ბევრი ცრემლს ძლივს იმაგრებდა. ბ ნი შალიკაშვილი კარგი იყო გულ-კეთილ პასტორ ნანსენის როლში. არა უშავდა ბ. ბაღდანოვაძეს მნათეს როლში. ტიპიური იყო ქ-ნი გოლარჯევისა იეზუიტიზმით გამსჭვალულ მოწყალების დის როლში. დანარჩენი ხელს უწყობდნენ ანსამბლს, თუმცა ზოგიერთ როლების ცოდნაში ცოტათი კოჭლობდნენ. ვოდევილმა „უბედური ნაბიჯი" მხიარულად ჩაიარა. კარგი იყო ზარდალიშვილი.

20 ამ თვისათვის დანიშნულია ბენეფისი, ქ ნ დავითაშვილისა მზადდება დრამა „აზია" —ფიდიშპისა.

ვ.

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**სოფ. კვენაფული.** (ერწო) ამ სოფელში სცხოვრობს ოცი კომლი გლეხი— ხევსური და გუდა-მარელი. ყველანი მთიდან არიან ჩამოსულნი. დასახლებულები არიან წინამძღვრიშვილების მამულზედ. სხვა წინამძღვრიშვილთა მამულს შორის არის მამულიც ცნობილ მოღვაწის ილია წინამძღვრიშვილისა დღემდე კვერნაულელებს ეს მამული იჯარით ჰქონდათ აღებული მოიჯარადრეებისაგანვე, რომელთაც თავის მხრით წინამძღვარიშვილისაგან ოც თუმნად ჰქონდათ აღებული. რა საკვირველია, ეს მოიჯარადრენი კარგ მიწებს თითონ ხმარობდნენ, დანარჩენს-კი სოფლელებს აქირავებდნენ წამატებულის ფასით. მოძრაობა რომ დაიწყო, პირველი მოიჯარადრენი დაიშორეს სოფლელებმა, თითონ მოინდომეს ილია წინამძღვარიშვილთან საქმის დაჭერა, რომ უფრო იაფად დაჯდომოდათ. ილია წინამძღვარიშვილს იჯარისთვის აუწევია ოც და ათ თუმნამდის.

წელს 2 იანვარს ერწოში ილია წინამძღვარიშვილის მამულის დასათვალიერებლად მოვიდა რამდენიმე მაღაკანი (იჯარით სდომებიათ დასახლება და აღება). ეს რომ კვერნაულელებმა ნახეს, აარჩიეს რამდენიმე გლეხი და გაგზავნეს ქალაქში პირადად მოსალაპარაკებლად. ესენი იყვნენ ილიასთან 12 იანვარს, მაგრამ მას ოც თუმნად არ მიუცია. გლეხებს უთქვამთ: „თუ წინანდელმა მოიჯარადრეებმა გაგაჯავრათ, ჩვენ ხომ პირადათ არა დაგვიშავებია რა თქვენთვის, ნუ გვიზამთ იმას, რომ უცხო ხალხი ჩაგვისახლოს და ერთმანეთში სისხლი მოგვახდინოთ; ჩვენ უსისხლოთ სხვა კაცს იქ არ შემოუშვებთო."

დაღონებული გლეხები დაბრუნდნენ უკან. მე მგონია, აქ რაღაც ჰკამოურკვეველი მიზეზი უნდა იყოს, თორემ როგორ დავიჯერებთ, რომ ილია წინამძღვარიშვილმა, რომელიც ასე ზრუნავს ხალხისთვის, რადგა ათი თუმნის გულისთვის კვერნაულელებს ცხოვრების სახსარი გამოჰკლიჯოს და უცხოელებს მიჰყიდოს?

**კვერნაულელი.**

—

**ლეჩხუმი.** წავიდეს და აღარ დაბრუნდეს შარშანდელი წელიწადით, გაიძახის ლეჩხუმის მკვიდრნი. შიმშილი, მკვლელობა, პიროვნების შეურაცხება, სინიდისის ფეხ ქვეშ გათელვა, ქურდ-ბაცაცობა, ერთის სიტყვით არაფერი დაჰკლებია ლეჩხუმს. ლეჩხუმში ვერ ნახავთ ისეთს გლეხს, რომელიც საკვების უქონლობას არა ჩიოდეს: დღეს კოდი სიმინდი ორ მანეთად ღირს. წინად მანეთს იშვიათად ასცილდებოდა. ყველასათვის ცხადია, რა ეღირება სიმინდი დამშეულ გლეხკაცისთვის მაისის გასულს. კიდევ რომ გაჰბედოს უდგა ვინმემ, სახლში ვერ შეიტანს უგზოობის გამო, მით უმეტეს დღეს, როდესაც ნახევარა საჟენი თოვლი ძევს. აღარ იყო ჩვენსკენ წინანდელი აღფრთოვანებული მიდრეკა დღესასწაულებისა, ყველა რაღაც გამოურკვეველ ფიქრების მორევშია ჩაფლული. ყველას შებლი დანაოჭებია.

სწავლა განათლების მხრით ლეჩხუმი ყველაზე ჩამორჩენილია. ან კი ვინ აიტკივებს თავს, აქაურ კლდე ღრეებში განათლების გასავრცელებლად, სწავლის წყურვილის მოსაკლავად. გაზეთი რა არის, ისიც ჭაპან წყვეტით მოგვდის უგზოობის გამო. მაღლობის ღირსია აჭარის ხიდზე გზის ოსტატი, რომელიც იბარებს ჟურნალ-გაზეთებს და საშუალებას აძლევს ახლო-მახლო მცხოვრებთ ისარგებლონ უფასოდ.

**ი. ხვადაგიანი.**

## რუსეთი

—

◆ **ოდესის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებანი.** გენერალ-გუბერნატორმა ძალიან საკვირლად დაიწყო თავისი დამაშვიდებელი მოღვაწეობა ოდესაში. პოლიციამ, შანტაჟისტების ძებნის დროს, ვორონინის სამიკიტნოში ყუმბარა მიაგნო. პოლიციას ეს ამბავი მაშინვე გენერალ-გუბერნატორისთვის უცნობებია. ტოლმაჩევს არც უცივებია, არც უცხელებია და ბრძანება გაუცია, ყუმბარა იქვე ააფეთქეთ, სადაც იპოვეთო. პოლიციასაც მცხოვრებლები მაშინვე ქუჩაში გამოუყვანია, და ყუმბარა აუფეთქებიათ. ყველაფერი დანგრეულა, ავეჯეულება დამსხვრეულა, ახლო მდებარე სახლების მცხოვრებლები ისე შეშინებულან, რომ ღრიალითა და ტირილით ყველანი ქუჩაში გამოცვივნულან. აღსანიშნავი აქ ის არის, რომ ამნაირ მოქმედების ინიციატივა თითონ ტოლმაჩევს კი არ ეკუთვნის, არამედ შავრაზმუ გაზეთ „რუსკაია რეჩ"-ს.

◆ **პეტროვი და სასულიერო მთავრობა.** 14 იანვარს პეტერბურგის სასულიერო კონსისტორიას სინოდისაგან უკვე მიუღია უკაზი გრიგორი პეტროვის მღვდლობიდან გადაყენების შესახებ. 179 მუხლის ძალით, პეტროვისთვის დაუტოვებიათ ყველა უფლებანი, რომლებიც კი დაბადებითა, ან განათლებითა ჰქონია; მხოლოდ აეკრძალა შვიდი წლის განმავლობაში სატახტო ქალაქებში ცხოვრება და სახელმწიფო სამსახურში შესვლა. პეტროვს არც იმისი უფლება აქვს, რომ ქალაქის თვითმართველობაში და სახელმწიფო სათათბიროში იქმნას არჩეული. ამის შესახებ თვითონ პეტროვს ასეთი აზრი გამოუთქვამს: „სინოდის დადგენილება ჯერ მე არ მიმიღია, მაგრამ გაზეთებში ამ გადაწყვეტილების ტექსტი უკვე დაბეჭდილია. არსებითად ამ დადგენილებაზე მე ეხლა არაფერს ვიტყვი, რადგანაც აზრათა მაქვს მასზე ცალკე დავწერო. ამ რვა-ათი წლის წინად, სამღვდელოებას მე „კრამოლნიკად" არ მივაჩნდი, მაგრამ რა წამს მე ძარღლ-მადიდებლობის შეცდომებს შევეხე და დავამტკიცე, რომ იგი ქრისტიანობის დიდებულ აზრებს არ ეთანხმება, იერარქიამ მაშინვე გამოილაშქრა ჩემზე და ჩემი იძულებული გაცხდი სამსახურისთვის თავი დამენებებინა. დევნა დღემდის არ დასრულებულა. ეხლა უეჭველია სამხრეთისაკენ გავემგზავრები და იქ ლიტერატურულ მოღვაწეობას შევუდგები. ჩემს მოვალეობათ მიმაჩნია გამოაშკარავება იმ საფრთხისა, რომელიც ქრისტიანობასა და სარწმუნოებას მოელის".

◆ **ი. შიპოვის აზრი შორეულ აღმოსავლეთის შესახებ.** შიპოვძა თითქმის მთელი შორეული აღმოსავლეთი მოიარა. როდესაც შეეკითხნენ, რა აზრისა ხართ შორეულ აღმოსავლეთის შესახებ საზოგადოდ და იაპონიაზე კერძოთ, მას უპასუხნია: „მე უმეტეს შემთხვევაში ბანკირებსა, მრეწველებსა, ჟურნალისტებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს ვხვდებოდი ხოლმე. გამაოცა განსაკუთრებით იმ გარემოებამ, რომ იაპონელებს შოვინისტური ტენდენციები არა აქვთ. არც ერთი მათგანი ისე არ მექცეოდა, რომ მე, როგორც რუსი, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილიყავი. საყურადღებოა ეს მოვლენა: მშვენივრად არის დაყენებული სწავლა-განათლების საქმე და იაპონური პრესა საკვირველად განვითარებულია... შიპოვზე იაპონიას საზოგადოთ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

◆ **შავრაზმელების კრება.** 12 იანვარს რუსთა კავშირის უმთავრეს საბჭოს დუბროვინის თავმჯდომარეობით კრება გაუმართავს. პირველი მოხსენება ბულაცელს წაუკითხავს და ის აზრი გამოუთქვამს, რომ ოქტომბრისტები ძალიან საშიში ხალხია, ისინი კონსტიტუციას ამტკიცებენ რუსეთში. მთავრობა, რომელიც ოქტომბრისტებს უკეკლუცება, ძალიან დიდს საფრთხეს უმზადებს ქვეყანასაო. ბულაცელის შემდეგ მოხსენება წაუკითხავს ვლასოვს. ვლასოვს თავისი მოხსენება იმითი დაუწყია, რომ შავრაზმელებისთვის უხარებია, მესამე სახელმწიფო სათათბიროს აუცილებლად დაითხოვენო. ამის შემდეგ გამოუცხადებია, მესამე სათათბიროს დათხოვნის შემდეგ აუცილებლად სამხედრო დიქტატურა უნდა იქმნას გამოცხადებულიო.

## უცხოეთი

—:—

**ინგლისი.** ინგლისი კაპიტალისტური ქვეყანაა, მაგრამ დღემდე იქ ძლიერი მუშათა პოლიტიკური პარტია არ არსებობდა. ინგლისში არსებობდნენ და დღესაც არსებობენ ძლიერი პროფესიონალური ორგანიზაციები. ვინ არ იცის, რა გრანდიოზულ ორგანიზაციას წარმოადგენენ ტრედ-უნიონები. 1900 წელს მუშათა ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ იერიში მიიტანეს და ამ გარემოებამ აიძულა მუშები თავისი საკუთარი პარტია გაეჩინათ. ამ პარტიაში თავდაპირველად 375.000 წევრი ითვლებოდა, ეხლა კი წევრთა რიცხვი 1.072.413 კაცს აღემატება. ამ ქამად გალლაში მუშათა პარტიის კონგრესია. კონგრესს 402 დელეგატი დაესწრო მაშინ, როდესაც დაარსების პირველ წლებში 82 დელეგატზე მეტი არ ესწრებოდა ხოლმე. მუშებს აინტერესებთ განსაკუთრებით ორი საკითხი: უმუშევართა შესახებ და მოხუცებულთათვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნის შესახებ. გალლის კონგრესზე დელეგატებმა უპირველეს ყოვლისა მეორე საკითხზე დაიწყეს ლაპარაკი. კონგრესის თავმჯდომარემ დაწვრილებით გამოარკვია, თუ რათ აინტერესებს მუშებს ასე ძალიან სწორედ ეს საკითხი. ტრედ-უნიონების წევრთა ერთ მესამედს მაინც საწევრო გადასახადი კასსებში იმიტომ შეაქვთ, რომ სიბერის დროს ორგანიზაციამ მათ დახმარება აღმოუჩინოს ხოლმე, მაგრამ ახალგაზდობაშიაც ფულის გადახდა მხოლოდ ისეთს მუშებს შეუძლიანთ, რომლებიც კარგ ხელფასს იღებენ. ღარიბ მუშებს, რომელთაც ხშირად მუდმივი მუშაობა არა აქვთ ხოლმე, ვერ შეუძლიან საწევრო გადასადი ერთად იხადონ და ამით დახმარების უფლებასაც ჰკარგავენ. რეფორმა სულ სხვა ნიადაგზე უნდა მოხდესო, განმარტა თავმჯდომარემ.— რეფორმას აუცილებლად პენსიის ხასიათი უნდა ჰქონდეს, და უნდა ეძლეოდეს 65 წლიდან დაწყებული ყველა მოხუცებულებს. ზოგიერთი დელეგატების აზრით 65 წელიწადი ბევრია, პენსია 60 წლის მოხუცებულს უნდა ეძლეოდესო. კამათის შემდეგ გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნული იყო, პენსია 65 წლის მოხუცებულებს უნდა მიეცესო. სამაგიეროთ რეზოლიუციაში ამნაირი ცვლილება შეიტანეს: პენსია უნდა ეძლეოდეთ აგრეთვე დასახიჩრებულთაც, თუნდაც ისინი 65 წლისანიც არ იყვნენ.

ინგლისის მთავრობა თანაგრძნობით ეგებება სახელმწიფო პენსიების საკითხს და კიდეც ცდილობს მის განხორციელებას. ფინანსთა მინისტრს უთქვამს, ამ რეფორმას სამოქალაქო უფლების ხასიათი უნდა ჰქონდეს და არა მოწყალებისაო. 1907 წლის ბიუჯეტში ფინანსთა მინისტრს $2^1/_2$ მილიონი თუმანი კიდეც გადასდო ამ რეფორმის განსახორციელებლად. ფიქრობენ, რომ მთავრობას სრულიადაც არ უნდა ეშინოდეს ლორდებისა. ეს კანონ-პროექტი იმ სახით იქნება შეტანილი პარლამენტში, რომ ლორდები იძულებულნი გახდებიან ანუარჰყონ, ან სავსებით მიიღონ. ლაპარაკი აქვთ მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორი ტიპის კანონპროექტი უნდა იქმნას შემუშავებული: ისეთი, როგორიც ახალ ზელანდიაში არსებობს, თუ სხვანაირი. ასეა თუ ისე, მთავრობა ისეთს პირობებშია ჩაყენებული, რომ მან აუცილებლად უნდა შეიტანოს პარლამენტში კანონ-პროექტი მოხუცებულთათვის პენსიის დანიშვნის შესახებ. ხალხი ამ რეფორმას ელის, მოუთმენლად ელის, და მთავრობამაც აუცილებლად პასუხი უნდა გასცეს.

**საფრანგეთი.** ამ რამდენისამე ხნის წინათ საფრანგეთის სოციალისტს გუსტავ ერვეს ანტიმილიტარიზმის ქადაგებისათვის ციხე გადაუწყვიტეს. ეხლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, დისციპლინარულ საბჭოს ერვე ვექილთა წრიდან გამოურიცხია. ეს ზომა ისეთი სასტიკია, რომ ერვეს მოწინააღმდეგენიც კი უკმაყოფილებას აცხადებენ. ყველა ერთხმად იძახის, რომ პოლიტიკურ საქმეებისთვის ამისთანა სასჯელს არასოდეს ერ ადებდნენ ხოლმეო. ეს ზომა პოლიტიკურ თავისუფლებას არსებითად ეწინააღმდეგებაო, ამბობენ საფრანგეთში ისეთებიც კი, რომლებიც ერვეს აზრებს არ ეთანხმებიან და ებრძვიან კიდეც.

რედაქტორი **ვლ. გუნია.**
გამომცემელი **ე. ავალიშვილი.**

## განცხადებანი

## ვამზადებ

ნემეცურ მასწავლებლის ხარისხის მისაღებად და აგრეთვე ვწრთვნი ბავშვებს საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასებში. გათავებული მაქვს ცენტრალური ნემეცური სასწავლებელი.

ადრესი: ნიკოლოზის ქუჩა, № 58. ნახვა 3—6 ს. (3—36—2)

---

## საოჯახო სასტუმრო
## „Семейные номера"

შუა ქალაქში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, ელისაბედის ქუჩაზე, სახლი მილოვისა, № 1. იძლევა ქირით ოთახები თვიურად და დღიურად. თვიურად 15 მანეთიდან 50 მანეთამდე და დღიურად 60 კაპ. 2 მანეთამდე ოთახები მშრალი, თბილი და ნათელია. შეიძლება ოთახების გაქირავება ჭამა-სმითაც. სრული მშვიდობა და მყუდროება.

**ყველას ვთხოვ ჩემი მანეთიანი ოთახი შეადაროს სხვის ორ მანეთიან ოთახს** (20—509—15)

---

1—2 მან. აილებს მსურველი დღეში.



## სატირულა

**თანამშრომელნი ორივე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ ვგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ № 15 и 5. (100—71—99)

---

## მამული

სოფ. სხლითში შორაპნის მაზრა ქუთაისის გუბერნია. იყიდება ერთი მეშვიდედი ნაწილი მოსე გურგენიძისა. პირობების შესახებ ჰკითხეთ გამგეს ალექსანდრე ასლანოვისას: მე-7 ნაწილ. (2—18—2)

---

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ლ. ი. ბაბანაშოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიხანოვი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. მუგნიოვი:** 12—1 ს, შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. გარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შეერმანისა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (544—წლ.—14)

---

ხელის მოწერა მიიღება 1908 წლ.

## „ნაკადულ"-ზე

**(წელიწადი მეოთხე)**

24 წიგ. მცირე-წლოვანთათვის 12 წიგნ. მოზრდილთათვის.

**ორი პრემია:**

1. კალენდ. მწერალთა სურათებ, ბარათებით.
2. „ტომას თავგადასავალი", მარკ ტვენისა.

წლიური ფასი: 5 მანეთი. ½ წლით 2 მან. 50 კაპ., ცალკ-ცალკე გამოცემა—3 მან.

1908 წლის „ნაკადულ"-ზე მიიღება ხელის მოწერა პროვინციაში ამხ. „სძრაპნის" აგენტებთან: გორში —არჩვაძისა და მაისურაძესთან; მიხაილოვში—ა. ებანოიძესთან; ყვირილაში—«სორაპნის» წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში—ი. ცეცვაძესთან; ქუთაისში—ი. კვიცარიძესთან; სამტრედიაში—ე. კოხრეიძესთან; ფოთში—ი. კოხრეიძესთან; ლანჩხუთში—შ. ცინცაძესთან; ოზურგეთში —დლონტთან; ბათუმში—ს. ფირცხალაშვილთან; სოხუმში—ი. მგელაძესთან; თელავში—ი. კაკაბაძესთან; სიღნაღში—ი. შავლიაშვილთან.

ჟურნალი „ნაკადული" ეძლევა მთელის წლით, 39 წიგნი გრიმის ზღაპრების დამატებით, ხუთ მანეთად. ხელის მომწერთ შეუძლიანთ ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც ე. ი. თვეში 50 კაპეიკი. აგენტებთან გაიყიდება აგრეთვე «ნაკადულის» ცალკე ნომრებიც.

(3—2) რედაქტორი **მ. ი. ჯღმურიანი.** გამომც. **თავ. პავ. იოსებ. თუმანიშვილი.**

სტამბა „ივერია" (მ. ფ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6